


ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა
მელიქიშვილის ქ. №10



თბილისი
ნოემბერი, 2015

მელიქიშვილის ქუჩა №10 XX ს-ის 30-იანი წლების ნაგებობა, ადრე თბილისის ტუბერკულიოზის პირველი საქალაქო ინსტიტუტი, შემდგომ საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, ამჟამად კერძო კომპანიის საკუთრებაში არსებული ობიექტი, თბილისის ცენტრალურ - ვერის უბანში მდებარეობს.



თბილისის ერთ-ერთი ცნობილი უბანი ვერა თავის დროზე სოფელი იყო, რომელიც თბილისს ეკვროდა. XIX-ის 60-იანი წლებიდან მან ქალაქთან ინტეგრირება დაიწყო, გაჩნდა პირველი ქალაქური ტიპის დასახლება, აშენდა აგურის ქარხნები. თბილისის სრულფასოვან უბნად ვერა XIX საუკუნის 80-იან წლებში იქცა, როცა აქ ინტენსიური და რეგულარული ქალაქური განაშენიანება დაიწყო.

ვერის უბანი მოიცავს ტერიტორიას მდინარე ვერქს ქვედა დინებიდან, ვიდრე ელბაქიძის დაღმართამდე. ვერაზე გადიოდა დიღმის საქარავნო გზა (დღევანდელი კოსტავას ქ.) და წენეთის გზა (მელიქიშვილის ქ.). უბნის ურბანული ქსოვილის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა ვერის ხიდის (1883 წ. 1952 წელს იგი ახალი ხიდით შეიცვალა) აგებამ და ვერის დაღმართის (ყოფილი ელბაქიძე, დღევანდელი მიხ. ჯავახიშვილი) გაჭრამ. ხიდმა ქალაქის ორი მაგისტრალი – გოლოვინსკისა და მიხაილოვის (რუსთაველის და აღმაშენებლის) პროსპექტები დააკავშირა ერთმანეთს. გოლოვინსკის პროსპექტი ვერისუბნის მიმართულებით გაგრძელდა. იგი შეუერთდა ოლდას ქ.-ს (კოსტავას ქ.), რომელიც დაახლოებით ვერის ბაღთან მთავრდებოდა და წენეთის (მელიქიშვილის ქ.) ქუჩებს. ამ ქუჩათა გასაყარზე მცირე მოედანი წარმოიქმნა (დღევანდელი ფილარმონია). ვერისუბნის გეგმარება დღესაც შენარჩუნებულია. მას დიდად განსაზღვრავს რელიეფი (უბანი ნაწილობრივ მთის ფერობზეა განლაგებული) და მასთან მისადაგებული ქუჩების მრუდხაზოვნება.




1. 1913 №.

2.

ქალაქების მარებითი თვალსაზრისითაც არ დაუკარგავს უბანს თავისი მნიშვნელობა. ვერაზე დღესაც გადის ქალაქის მთავარი მაგისტრალები (თავისუფლების მოედნი-რუსთაველის პროსპექტი-კოსტავას ქ. და მელიქიშვილის ქ. - ვაკე), რომლებიც თბილისის ცენტრს ახალ უბნებთან აკავშირებს.

ვერის უბნის განაშენიანება კოსტავასა და მელიქიშვილის ქუჩების პარალელურად ვითარდება. ეს ქუჩები უბნის განაშენიანებას ქუჩათა პერპენდიკულარული სისტემის მეშვეობით უკავშირდებოდა.

XIX ს. ბოლოსა და XX ს. ვერაზე ახალი, ქალაქური ტიპის სახლების უფრო მასშტაბური მშენებლობა დაიწყო. ეს სახლები თავისი გეგმარებითა და მხატვრულ-არქიტექტურული სახით იმ დროის თბილისური არქიტექტურის საერთო ტენდენციებს მიჰყება. XX ს-ში ვერა თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ უბნად იქცა.



მელიქიშვილის ქუჩის კენტი რიცხვების განაშენიანებაში ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები მეჩერად არის შემორჩენილი. ამდენად, ასეთი ნაგებობები განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ძეგლთა დაცვის ორგანოების მხრიდან.



მელიქიშვილის ლუწი რიცხვებით მონიშნული მხარე რამდენიმე მსხვილი მოცულობით აღინიშნება. მათ შორის გამორჩეულია საბჭოთა პერიოდის მონუმენტური შენობა - სასტუმრო „საქართველო“, რომლის არქიტექტურა ე.წ. სტალინური სტილის ნიშნებით ხასიათდება. სასტუმრო „საქართველო“-სა და მელიქიშვილის ქ. №6 ოთხსართულიან საცხოვრებელ სახლს შორის ამჟამად ორი ნაგებობა მდებარეობს: ერთი მელიქიშვილის №8, უაკანასკნელ ათწლეულში აშენებული საოფისე რვასართულიანი თანამედროვე ნაგებობა და მეორე - მელიქიშვილის №10 - XX ს-ის 30-იანი წლების თბილისის არქიტექტურაში კონსტრუქტივისტული სტილის იშვიათი ნიმუში.



კონსტრუქტივიზმის სტილის თბილისურ შენობებს სისადავე, გეომეტრიულობა, სიმკაცრე და ფორმის ლაკონიურობა ახასიათებს. აღნიშნული სტილის გავლენა 1920-30წ. თბილისში მოღვაწე თითქმის ყველა ავტორმა განიცადა. მიუხედავად იმისა, რომ ეს სტილი გამოძახილია იმ ჭეშმარიტად რუსული ფენომენისა, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა თანამედროვე არქიტექტურულ მემკვიდრეობაში და XX ს-ის არქიტექტურის ისტორიაში, საქართველოში კონსტრუქტივიზმი თავისებური მხატვრულ-არქიტექტურული სტილისტიკით ხასიათდება, რაც გამოიხატება მის განსაკუთრებულ არქიტექტურულ გადაწყვეტაში - ეროვნული ხუროთმოძღვრების დამახასიათებელი მხატვრული ფორმებისა და დეტალების ჩართვაში. ასეთი ხასიათის არის იმ დროს აშენებული არქიტექტორ კალგინისა და მაჭავარიანის „ელექტროქვესადგური“ (1924წ.); პურის ქარხანა - არქიტექტორი ნესტეროვი (1928წ.); „ზარია ვოსტოკა“-ს რედაქციის შენობა, არქიტექტორი ჩიხლიევი (1929წ.) და სხვ. ცენტრალური კომიტეტის შენობა - არქიტექტორი სევეროვი; თბილისის კანის სნეულებათა ინსტიტუტი 1930წ.



საკვლევი შენობის, მელიქიშვილის ქ. №10 ავტორი გახლავთ პ. ა. ლეონტიევი, არქიტექტორი, რომლის სახელსაც „ზაჟესი“-ს ელექტროსადგურის, „გოსკინპომი“-ს ავტორობა (მკვლევარ თ. გერსამიას აზრით) და „ზარია ვოსტოკა“-ს შენობის თანაავტორობა.



ამავე არქიტექტორის ნახელავია ისტორიული ქალაქის რიგი საცხოვრებელი სახლებისა, მათ შორის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებად აღნუსხული გოგებაშვილის №11 და მაყაშვილის №18.



არქიტექტორ ლეონტიევის შემოქმედებისთვის დამახასათებელია იმდროისთვის გასაოცარი ინდივიდუალიზმი და ორიგინალურობა, ამასთან, თვალსაჩინოა არქიტექტორის განსაკუთრებული სიყვარული ისტორიზმებისადმი და ეროვნული არქიტექტურული მოტივების უხვად გამოყენება.

ლეონტიევის ეს თვისება გამოიხატება ისეთი ინდუსტრიული პროექტის განხორციელებაშიც, როგორიცა არის „ზაჟეისი“-ს ელექტროსადგური, რომელშიაც ის თხტატურად იყენებს ტრადიციული ქართული არქიტექტურის სახასიათო მოტივებს: კოშკებს, შეისრულ ფანჯრებს, თაღოვან დიობებს.



ასევე იყენებს შეასაუგუნების ქართული არქიტექტურის დამახასიათებელ ელემენტებს კინოსტუდიის შენობის თაღოვანი დიობებით და სვანური კოშკით გაფორმებისას.



თბილისის ტუბერკულოზის პირველი საქალაქო ინსტიტუტი 1927 წ.
დაპროექტდა და მისი მშენებლობა 1930 წ. დასრულდა, რაზედაც მეტყველებს
სამშენებლო წარწერა ჩართული პირველი სართულის იატაკის მოზაიკაში.



შენობის არქიტექტურულ იარსახეში ურთიერთს ერწყმის
კონსტრუქტივიზმის სტილისთვის დამახასიათებელი სისადავე და
ფუნქციონალიზმი და ქართული ისტორიული არქიტექტურის სახასიათო
ელემენტები. შენობის მთავარი, მელიქიშვილის გამზირისკენ მიმართული ფასადი
ასიმეტრიულია როგორც მხატვრული გაფორმებით, ასევე სიმაღლით, რაც
დამახასიათებელია ლეონტიევის ხელწერისათვის. მისი შენობები მკვეთრი
ინდივიდუალიზმით და ზოგჯერ ნაივურობითაც კი ხასიათდება. ასეთი
ავტორისეული ლოგიკით არის ნაკარნახევი კიდურა რიზალიტების განსხვავებული
სიმაღლე, რომელიც ცალ მხარეს კოშკის მოტივით წონასწორდება.

შენობა აგურით არის ნაგები. ფასადების ზედაპირი ორფაქტურიანია. პირველი სართული ტერაზიტული ლესვით არის გაფორმებული, ხოლო მეორე -
გლუვად არის გალესილი. ეს ხერხიც დამახასიათებელია ლეონტიევის
ხელწერისათვის.




ამ ნაგებობაშიც ლეონტიევი იუენებს პირველი სართულის თაღედით გახსნის მოტივს, რომელსაც ორნამენტირებული რელიეფური კაპიტელებით გაფორმებული სვეტებით ამკობს.

ფასადის მხატვრული კომპოზიციის მთავარი შემადგენელია ასევე ეროვნულ მოტივებზე აგებული აივნების რელიეფური გაფორმება. ნალესი ქვის იმიტაციის მქონე კრონშტეინებზე შეკიდული აივნები რიტმულად ანაწევრებენ ფასადის გლუვ ზედაპირს.



ფასადებზე ხაზგასმულია სადარბაზო შესასვლელი დიობები, რომლებიც ამჯერად სხვადასხვანაირად არის გადაწყვეტილი: ერთი შეისრული თაღის, ხოლო მეორე ნალისებრი თაღის სახით. მათ გვერდზე დატანილი დიობები ასევე განსხვავებულად არის წარმოდგენილი, რაც ისტორიულ ფოტოზე არ აღინიშნება და წრიული დიობების ნაცვლად ამ რიზალიტზეც მხოლოდ ორი შეისრული დიობი არსებობდა.



შენობის გვერდითი და უკანა ფასადები კიდევ მეტად სადაა და მხოლოდ სახასიათო ფორმის დიობების რიტმით არის გაფორმებული. უკანა მხარის მხატვრულად აქცენტირებული არქიტექტურული მოტივია კოშკის ფორმის

მოცულობა, რომელიც სადაა და ლეონტიევისთვის დამახასიათებელი სვანური კოშკივით არ არის გადაწყვეტილი.



ინტერიერში განსაკუთრებულად გაფორმებულია სადარბაზოს შესასვლელი ვესტიბიული და ორი კიბე, რომლებიც რიზალიტებსა და ცენტრალურ სივრცეს აკავშირებს. კიბეების საფეხურები მოპირკეთებულია მარმარილოს მოზაიკით, ხოლო მოაჯირები წრიული დეკორით შემკული ქვის მოაჯირებით.



უგანასკენელ პერიოდში მკვეთრად შეიცვალა ურბანული კონტექსტი მელიქიშვილის №10-ის ირგვლივ, კერძოდ, მის უკან არსებული ე.წ. კობის ქუჩის სამშობიაროს კორპუსების ნაცვლად, მაღალსართულიანი საცხოვრებელი სახლი და საოფისე შენობა აიგო. მეორე მხრიდან, ასევე 10 წლის წინ მრავალსართლიანი საოფისე შენობა გაჩნდა და ისტორიული შენობა ამ მაღალ შენობებს შორის რამდენადმე ჩაიკარგა, რასაც ხელს უწყობს აგრეთვე მელიქიშვილის ქუჩის მხრიდან მის წინ გაზრდილი პლატანების რიგი, რომელიც მთლიანად ფარაგს ლეონტიევის არქიტექტურას.



დასკვნა და რეკომენდაცია

მელიქიშვილის ქ. №10 კ. ლეონტიევის დაპროექტებული ისტორიული შენობა, რომელიც თბილისისთვის იშვიათი და ხანმოკლე მხატვრულ-არქიტექტურული სტილების კონსტრუქტივიზმისა და ისტორიზმის ნაზავს წარმოადგენს, სამწუხაროდ არ ატარებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს და ამდენად მისი ბუკვალური აღდგენა-რესტავრაცია მის მეპატრონებს არ ევალება, მაგრამ ამასთან, ყველა ზემოაღნიშნული თავისებურების გათვალისწინებით, პროექტისთვის რეკომენდირებულია ისტორიული შენობის მაქსიმალური შენარჩუნება-რეკონსტრუირება და მისი ინტეგრირება ახალ პროექტში.

ამგვარი მიდგომით ქალაქი შეინარჩუნებს 20-30-იანი წწ. საავტორო არქიტექტურის ერთ-ერთ საინტერესო ნიმუშს, რაც მეტად მიმზიდველს გახდის საინვესტიციო პროექტსაც. ამისთვის, სასურველია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

- მელიქიშვილის მხარეს მიმართული შენობის ფასადები უცვლელი უნდა დარჩეს და მათზე უნდა განხორციელდეს აღდგენა-რესტავრაციის პროცესი ისტორიული ფოტომასალის მიხედვით;
- ინტერიერში აუცილებელია შევინარჩუნოთ ძველი კიბის უჯრედები და ვესტიბულის სივრცე;
- თანამედროვე არქიტექტურული ჩარევა უნდა მოხდეს ახალი მოცულობის და ძველი ნაწილის ორგანული შეთავსებით ისე, რომ ახალი, თანამედროვე მასალით შესრულებული მოცულობა გახდეს ფონი ისტორიული შენობის გამოსაკვეთად. ამისთვის, ახალი

მოცელობის ფასადები უნდა შესრულდეს ნეიტრალური, ფონური ხასიათის ფაქტურისაგან.

პროექტის სწორად დაგეგმვის შემთხვევაში შესაძლებელია მივიღოთ დასავლეთში კარგად აპრობირებული ისტორიული ნაგებობების რეკონსტრუქცია-რევიტალიზაციის მაგალითი, რომელიც პოზიტიური გავლენის მქონე იქნება არა მხოლოდ ვერის უბნის ლოკალური სივრცის განაშენიანებაში, არამედ ზოგადად თბილისის მემკვიდრეობის ახალი შინაარსით დატვირთვის პროცესში.

ხელოვნებათმცოდნე
ლალი ანდრონიკაშვილი

